შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№32 (10.087)

2-9 სექტემბერი 2023 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

გილოცავთ სტუდენტობას!

„ერთიანი ეროვნული გამოცდები 2023“-ის შედეგები უკვე ცნობილია. სტუდენტებს გამოცდების წარმატებით ჩაბარება მთავრობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა მიულოცეს:

ირაკლი ღარიბაშვილი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი:

„ჩემო ახალგაზრდა მეგობრებო, ძვირფასო პირველკურსელებო, გულითადად გილოცავთ ყველას, ვინც წარმატებით ჩააბარეთ ერთიანი ეროვნული გამოცდები.

ეს უმნიშვნელოვანესი მიღწევა თქვენი შრომის, სწავლისა და მონდომების დამსახურებული შედეგია. ამავე დროს, ეს არის ცხოვრების სრულიად ახალი ეტაპის დასაწყისი. მჯერა, რომ ცოდნის დაუფლების, პიროვნული განვითარებისა და პროფესიული სრულყოფის პროცესს საკუთარი მომავლისა და სამშობლოს წინაშე დიდი პასუხისმგებლობით წარმართავთ.

განათლებული ახალგაზრდობა - ქვეყნის წინსვლისა და ძლიერების, მისი უკეთესი ხვალინდელი დღის აუცილებელი პირობაა. ამიტომ, განათლება ჩვენი მთავრობისთვის, პირადად ჩემთვის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ მაქსიმალურად შეგიწყოთ ხელი განვითარებაში.

კიდევ ერთხელ გილოცავთ და წარმატებულ, საინტერესო სტუდენტობას და თქვენს მიერ დასახული მიზნების მიღწევას გისურვებთ.“

გიორგი ამილახვარი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი:

„ჩემო ძვირფასებო, გილოცავთ სტუდენტობას და წარმატებებს გისურვებთ ცხოვრების ახალ, ძალიან მნიშვნელოვან, თავგადასავლებითა და შესაძლებლობებით სავსე ეტაპზე.

მჯერა, სკოლებში მიღებულ ცოდნას უნივერსიტეტის კედლებში კიდევ უფრო გაიღრმავებთ, მომავალში კი თქვენი პროფესიონალიზმითა და დიდი შემართებით დაიწყებთ საქართველოს უკეთეს მომავალზე ზრუნვას!

თითოეულ თქვენგანს გიწვდით მეგობრობის ხელს და გირჩევთ, რომ არასდროს შეუშინდეთ გამოწვევებს და შეეცადოთ, აქციოთ ისინი შესაძლებლობებად. ეს არის წარმატებისა და წინსვლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა.

პირადად მე, როგორც განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, სრულად ვითავისებ ჩემს პასუხისმგებლობასა და ვალდებულებას თითოეული თქვენგანის წინაშე და ყველაფერს გავაკეთებ, რომ თქვენი სტუდენტობა იყოს საინტერესო, აკადემიურად დატვირთული და შესაძლებლობებით აღსავსე“.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი:

„დედოფლისწყაროში მცხოვრებო, უკვე პირველკურსელებო, ჩემო მეგობრებო, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის სახელით ყველას გილოცავთ სტუდენტის სტატუსის მოპოვებას.

დღეიდან იწყება თქვენს ცხოვრებაში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი, გამოწვევებითა და შესაძლებლობებით აღსავსე საინტერესო ეტაპი. მჯერა, რომ ნაყოფიერად გამოიყენებთ სტუდენტობის წლებს, მოიპოვებთ იმ ცოდნასა და გამოცდილებას, რომელსაც შემდგომში ჩვენს მუნიციპალიტეტსა და ქვეყანას მოახმართ. განათლებული ახალგაზრდობა ხომ ჩვენი მუნიციპალიტეტის, ჩვენი ქვეყნის საიმედო მომავლის გარანტია!

იცოდეთ, რომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია თქვენს გვერდითაა ყოველი წამოწყების დროს და ყოველთვის გქონდეთ ჩვენი მხარდაჭერის იმედი“.

ნუგზარ პაპიაშვილი, დედოფლისწყაროს საკრებულოს თავმჯდომარე: „ჩემო ახალგაზრდა მეგობრებო, გილოცავთ სტუდენტობას, ყველაზე რომანტიკული და ახალი თავგადასავლებით სავსე ცხოვრების დაწყებას! სტუდენტობა, პირველ რიგში, გულისხმობს საკუთარი პიროვნული და ინტელექტუალური განვითარების თვისებრივად ახალ საფეხურზე აყვანას: ახალი ცოდნის დაუფლებას, თანამედროვე საზოგადოებრივი ტენდენციების შეცნობასა და საღ ანალიზს; ახალი გამოცდილების მიღებას, ახალი მეგობრების შეძენას. ყოველი სასწავლო წლის დაწყებისას მახსენდება დიდი ილიას სიტყვები: „ამ წუთისოფელში ბედი იმისია, ვინც ძლიერია, და ძლიერი მარტო მცოდნე კაცია.“

სწორედ რომ ასეა - თანამედროვე საზოგადოებას ცოდნის საზოგადოებას უწოდებენ.

გისურვებთ შემოქმედებით წინსვლას, ნაყოფიერი ყოფილიყოს საქართველოს უნივერსიტეტებში გატარებული სტუდენტური წლები, რათა ჩამოყალიბდეთ მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებად და გაამართლოთ ქვეყნის, მშობლიური მუნიციპალიტეტის, უნივერსიტეტისა და მშობლების იმედი“.

***

საკუთარი მოსწავლეების წარმატების შესახებ განაცხადა დედოფლისწყაროს წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატმა: „ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები ცნობილია... ჩვენი სკოლის ექვსივე კურსდამთავრებულმა საუკეთესო შედეგი აჩვენა. ყველა მოსწავლე ჩაირიცხა სასურველ ფაკულტეტზე. ორმა მოსწავლემ მოიპოვა 50%-იანი გრანტი, ორი ჩაირიცხა სახელმწიფოს მიერ სრულად დაფინანსებულ პროგრამაზე. ორი კი-სასურველ ფაკულტეტზე. თქვენ ყველაზე ნიჭიერი, ღირსეული, მართლმადიდებლური ღირებულებებით აღზრდილი მოსწავლეები ხართ! თქვენ შეძელით და მიაღწიეთ დასახულ მიზანს! გვეამაყებით! წარმატებებს გისურვებთ ცხოვრების ახალ ეტაპზე! არასდროს დაკარგოთ საკუთარი თავის რწმენა და გახსოვდეთ, შეუძლებელი არაფერია!“.

27 ოქტომბერს მასწავლებლის ეროვნული დღე დაწესდა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, გიორგი ამილახვრის ინიციატივით, პირველად საქართველოს უახლეს ისტორიაში მასწავლებლის ეროვნული დღე დაწესდა.

უწყების მიერ გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, მასწავლებლის ეროვნული დღე ყოველი წლის 27 ოქტომბერს, ქართველი პედაგოგის, საქართველოში მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებლის, პუბლიცისტის, საბავშვო მწერლისა და საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის დაბადების დღეს აღინიშნება.

„აღნიშნულ თარიღთან დაკავშირებით ყოველწლიურად, საზოგადოებისა და განათლების სისტემის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, ღვაწლმოსილ პედაგოგებს გადაეცემა მასწავლებლის ეროვნული პრემია - სპეციალურად შექმნილი სამკერდე ნიშანი და ფულადი ჯილდო 10 000 ლარის ოდენობით. მოგეხსენებათ, ქვეყნისა და საზოგადოების განვითარების, ახალგაზრდების სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პატრიოტებად ჩამოყალიბების საქმეში მთავარი როლი და ფუნქცია დამსახურებულ, ღვაწლმოსილ პედაგოგებს აკისრიათ. შესაბამისად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აქტიურად აგრძელებს სხვადასხვა კუთხით მასწავლებლის პროფესიის პრესტიჟის ამაღლებაზე ზრუნვას და მათთვის როგორც სოციალური, ასევე სხვადასხვა მხარდამჭერი ღონისძიების შეთავაზებას. მასწავლებლის ეროვნული დღისა და პრემიის დაწესებაც სწორედ საზოგადოებაში პედაგოგების როლის ხაზგასმას და მათ დაფასებას ემსახურება. ინიციატივის ფარგლებში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, შეიკრიბება იმ მასწავლებელთა ისტორიები, რომლებსაც სხვადასხვა მიმართულებით განსაკუთრებული წვლილი შეაქვთ მოსწავლეების, სასკოლო საზოგადოებისა, თუ თემის განვითარებაში. ამის შემდეგ სპეციალურად დაკომპლექტებული კომისია, რომელშიც გაერთიანებული იქნებიან ცნობილი სახეები სხვადასხვა სფეროდან, გამოავლენს წლის საუკეთესო მასწავლებლებს“, - ნათქვამია ინფორმაციაში.

ე.წ. კუჭის დაპატარავების ოპერაციის გაკეთების პირობები მკაცრდება

ბარიატრიული ოპერაციის („კუჭის დაპატარავება“) გაკეთების პირობები მკაცრდება. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ჯანდაცვის სამინისტროში განუცხადეს, მოხდა ბარიატრიული ქირურგიის რეგულირების მექანიზმის სრულყოფა, რის შედეგადაც მთელი რიგი სტანდარტები განისაზღვრა, მათ შორის პაციენტს შესაბამისი წონის ინდექსის გარდა, უნდა ჰქონდეს თანმხლები დაავადებები. ასევე, ახალი სტანდარტის მიხედვით, ოპერაციამდე პაციენტის მდგომარეობა უნდა შეფასდეს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, ჩაუტარდეს შესაბამისი ლაბორატორიული კვლევები და ა.შ.

გარდა ამისა, ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ახალი პროტოკოლის თანახმად, ბარიატრიული ოპერაცია მხოლოდ მრავალპროფილურ კლინიკაში უნდა ჩატარდეს.

„ბარიატრიული ქირურგიის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, დღის წესრიგში დადგა მისი რეგულირების მექანიზმის სრულყოფა. ცვლილების მიხედვით, აღნიშნული პროცედურები მრავალპროფილურ კლინიკაში უნდა განხორციელდეს. სტანდარტი განსაზღვრავს მოთხოვნებს ქირურგის კვალიფიკაციასა და გამოცდილებასთან დაკავშირებითაც. განახლებული სანებართვო პირობები დაწესებულებებმა 2023 წლის პირველ ოქტომბრამდე უნდა დააკმაყოფილონ.

ბარიატრიული ოპერაცია საკმაოდ რთული ქირურგიული ჩარევაა და ის მხოლოდ კონკრეტული ჩვენებების შემთხვევაში უნდა გაკეთდეს. სწორედ ეს ჩვენებები განისაზღვრა პროტოკოლით, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სტანდარტების შესაბამისად. პაციენტს უნდა ჰქონდეს შესაბამისი წონის ინდექსი, თანმხლები დაავადებები, ჩარევამდე პაციენტის მდგომარეობა უნდა შეფასდეს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, ჩაუტარდეს შესაბამისი ლაბორატორიული კვლევები და ა.შ.

მსგავსი ტიპის ცვლილებების საჭიროება „მეტაბოლური და ბარიატრიული ქირურგიის ჩარევის ჩვენებების“ - პროტოკოლზე მუშაობის პროცესში გამოიკვეთა. შესაბამისი რეკომენდაციები საქართველოს ბარიატრიული და მეტაბოლური ქირურგიის ასოციაციის ექსპერტებმა წარმოადგინეს.

საერთო ჯამში, ახლად განსაზღვრული სანებართვო პირობები, სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებებს, პაციენტისთვის მაღალი ხარისხის სერვისების მიწოდების შესაძლებლობას მისცემს და 2025 წლისთვის, საერთაშორისო აკრედიტაციის პირობების დაკმაყოფილებას გაუადვილებს“,- განუცხადეს „ინტერპრესნიუსს“ ჯანდაცვის სამინისტროში.

ცვლილებები, რომლებიც სექტემბრიდან ამოქმედდება

2023 წლის სექტემბრიდან საქართველოში რამდენიმე ახალი ცვლილება ამოქმედდება. კერძოდ, ერთი ეხება მართვის მოწმობის მისაღებ გამოცდას, რომელსაც ახალი კითხვები დაემატება, მეორე - შრომით მიგრაციას, მესამე - 4 ქალაქში მანქანების გამონაბოლქვზე შემოწმებას, ასევე სექტემბრიდან აიკრძალება ევროპული ავტომობილების რუსეთში რეექსპორტი. გარდა ამისა, პირველი სექტემბრიდან დედაქალაქსა და რეგიონებში ბიზნესისთვის გაზის ტარიფი შემცირდება.

გთავაზობთ დეტალურად, თუ რა ხუთი ცვლილებები ამოქმედდება სექტემბრიდან საქართველოში:

მართვის მოწმობის გამოცდას ახალი კითხვები დაემატება

2023 წლის პირველი სექტემბრიდან, სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის მეორე ეტაპის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატრანსპორტო საშუალების ტექნიკურ გამართულობასთან დაკავშირებული კითხვები ემატება. კერძოდ, „B“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები გამოცდისთვის განსაზღვრულია 20 კითხვა, საიდანაც მძღოლობის კანდიდატს 2 დავალება მიეცემა. გამოსაცდელს კითხვებზე პასუხის გაცემა ვიზუალურად ჩვენებით, ან ზეპირად/თავისუფალი თხრობით გადმოცემით შეეძლება.

იმ შემთხვევაში, თუ მძღოლობის კანდიდატი გამომცდელის მიერ მიცემულ დავალებას ვერ შეასრულებს, მსუბუქ შეცდომად ჩაეთვლება.

გარდა აღნიშნული ცვლილებისა, მიმდინარე წლის პირველი სექტემბრიდან, მართვის უფლების მისაღები გამოცდის პრაქტიკული ნაწილი ორეტაპიანი “C” და “D” კატეგორიების და “C1” და “D1” ქვეკატეგორიების სატრანსპორტო საშუალებებისთვის გახდება.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას აგრძელებს და „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, პირველი სექტემბრიდან “C” და “D” კატეგორიების და “C1” და “D1” ქვეკატეგორიების სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები გამოცდის პრაქტიკული ნაწილი ორეტაპიანი ხდება. ცვლილებების მიხედვით, პრაქტიკული გამოცდის პირველი ეტაპის (მოედანი) წარმატებით ჩაბარების შემდეგ, მძღოლობის კანდიდატი გადაინაცვლებს მეორე ეტაპზე, რაც რეალურ საგზაო მოძრაობის პირობებში გამოცდის ჩაბარებას გულისხმობს,“ - აცხადებენ შსს-ს მომსახურების სააგენტოში.

შეგახსენებთ, „B“ და „BE“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდები ორეტაპიანი 2022 წლის 25 აპრილიდან გახდა.

შრომით მიგრაციას კანონი დაარეგულირებს

პირველი სექტემბრიდან შრომითი მიგრაციის შესახებ კანონში ახალი ცვლილებები ამოქმედდება. ახალი კანონმდებლობის მიხედვით, შუამავალ კომპანიებს, რომლებიც საქართველოს მოქალაქეებს, საზღვარგარეთ დასაქმებაში ეხმარებიან, სერტიფიცირების ვალდებულება უჩნდებათ. ამასთან, სპეციალურ ელექტრონულ სისტემაში მოხდება საქართველოში დასაქმებული უცხოეთის მოქალაქეების აღრიცხვა. გარდა ამისა, ქვეყანაში, შრომითი ბინადრობისა და ემიგრაციის ვიზების ფლობისთვის, სავალდებულო ხდება ამავე სისტემაში რეგისტრაცია.

ამას გარდა, ცვლილებების მაქსიმალური ეფექტურობისთვის, ახალი კანონი მონიტორინგისა და აღსრულების მექანიზმებსაც ითვალისწინებს, რომელსაც შრომის ინსპექციის სამსახური განახორციელებს.

რუსეთში ევროპული ავტომობილების რეექსპორტი იკრძალება

2023 წლის 26 სექტემბრიდან საქართველოდან რუსეთში ევროპიდან შემოყვანილი ავტომობილების რეექსპორტი იკრძალება. აღსანიშნავია, რომ ამერიკიდან შემოყვანილი მანქანების რუსეთში ექსპორტი პირველი აგვისტოდან უკვე აკრძალულია. ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, ევროკავშირიდან იმპორტირებული მანქანების რუსეთში ექსპორტს ევროკავშირის სანქციების მე-11 პაკეტი ითვალისწინებს.

7 თვეში საქართველოს ეკონომიკა 7.2%-ით გაიზარდა

წინასწარი შეფასებით, 2023 წლის ივლისში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდამ 5.5% შეადგინა, ხოლო 2023 წლის პირველი შვიდი თვის საშუალო მაჩვენებელი 7.2%-ით განისაზღვრა.

2023 წლის ივლისში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შემდეგმა დარგებმა: საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობა, მშენებლობა, ვაჭრობა, პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები. კლების ტენდენცია დაფიქსირდა დამამუშავებელი და სამთომოპოვებითი მრეწველობის, ინფორმაციის და კომუნიკაციის დარგებში.

რაც შეეხება საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მაჩვენებლებს იანვარ-ივლისში:

*საქონლის ექსპორტი (FOB) - 3.5 მლრდ აშშ დოლარი. ზრდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 15.9%

*საქონლის იმპორტი (CIF) - 8.5 მლრდ აშშ დოლარი. ზრდა 19%

*საგარეო სავაჭრო ბრუნვა - 12.1 მლრდ აშშ დოლარი. ზრდა 18%

რამდენია ასაკობრივი პენსია ევროპის ქვეყნებში

Mercer CFA Institute Global Pension Index-მა თავისი წლიური ანგარიში გამოაქვეყნა, რომელიც 44 ქვეყნის საპენსიო სისტემას ასახავს.

საუკეთესო საპენსიო სისტემად 2022 წელს ისლანდია დასახელდა, რომლის საერთო შეფასება A კატეგროიას განაკუთვნეს, ხოლო საერთო ქულების ოდენობა 84.7-ით განისაზღვრა.

აღმოჩნდა, რომ ისლანდიას აქვს საჯარო და კერძო სექტორის პენსიების ყველაზე ჯანსაღი ნაზავი. ევროკომისიის მონაცემების მიხედვით, თქვენ უნდა იცხოვროთ ქვეყანაში მინიმუმ 40 წელი ან მეტი, 16-დან 67 წლამდე, რომ სრულად ისარგებლოთ ხანდაზმულობის პენსიით.

საუკეთესო ქვეყნების სია საპენსიო სისტემის მიხედვით, 2022 წლის მონაცემებით ასე გამოიყურება:

ისლანდია – 1965 დოლარი
ნიდერლანდები – 1270 ევრო
ფინეთი – 1845 ევრო
დანია – 980 დოლარი
ნორვეგია –1 513 დოლარი
შვედეთი – 1,319 დოლარი
დიდი ბრიტანეთი – 1588 დოლარი

ევროკომისიის მიხედვით, ჰოლანდიის საპენსიო სისტემა შედგება სამი სვეტისგან: ხანდაზმულთა პენსიების შესახებ კანონი, დამსაქმებლის მიერ დამატებითი პენსიის დარიცხვა და დამატებითი ინდივიდუალური საპენსიო პოლიტიკა.

ევროკომისიის თანახმად, ქვეყანა პენსიონერებს სთავაზობს შესაძლებლობას, მიიღონ ვადამდელი პენსია, როდესაც ისინი 1-3 წლისაა საჯარო საპენსიო ასაკიდან (2022 წელს 67-69 წელი).

Mercer CFA-ის კვლევითი ინსტიტუტი უკვე წლებია აქვეყნებს გლობალურ საპენსიო რეიტინგს, რომელიც თითქმის ყველა ძირითად ფაქტორს ითვალისწინებს და ქვეყნებს შესაბამის სარეიტინგო ქულებს ანიჭებს.

რაც შეეხება საქართველოს, აქ სახელმწიფო პენსიის ოდენობა განისაზღვრება შესაბამისი წლის „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით. 2023 წლის 1-ლი იანვრიდან 70 წლამდე ასაკის პენსიონერისათვის სახელმწიფო პენსია განისაზღვრა 295 ლარით, ხოლო მაღალმთიან დასახლებებში თითქმის 355 ლარს გაუტოლდა. 70 წლის ან მეტი ასაკის პენსიონერისათვის კი პენსია 365 ლარია, მაღალმთიან რეგიონში მცხოვრებთათვის კი თითქმის 440 ლარი.

საპენსიო ასაკი მამაკაცებისთვის 65 წელი, ხოლო ქალებისთვის - 60 წელია.

სად ყიდულობს საქართველო წამლებს

თურქეთიდან, საქართველოში დაფასოებული სამკურნალო საშუალებების, მედიკამენტების იმპორტი 2023 წლის იანვარ-ივლისში 48.2%-ით გაიზარდა.

2022 წლის 7 თვეში საქართველომ თურქეთისგან 37.7 მლნ აშშ დოლარის მედიკამენტები იყიდა, 2023 წლის ანალოგიურ პერიოდში კი, 78.2 მლნ აშშ დოლარის მედიკამენტები.

რაც შეეხება ზოგად მონაცემს, წელს მედიკამენტების იმპორტის მაჩვენებელიც გაზრდილია. გასულ წელს საქართველომ 234.3 მლნ აშშ დოლარის სამკურნალო საშუალებები იყიდა, მიმდინარე წელს კი, 307.7 მლნ აშშ დოლარის.

ქვეყნების ტოპ-10 ქვეყნის ჩამონათვალი, სადაც საქართველო წამლებს ყიდულობს, ასე გამოიყურება:

თურქეთი - 78.2 მლნ აშშ დოლარი
შვეიცარია - 39.2 მლნ აშშ დოლარი
გერმანია - 32.2 მლნ აშშ დოლარი
უნგრეთი - 20.5 მლნ აშშ დოლარი
საფრანგეთი - 18.7 მლნ აშშ დოლარი
ინდოეთი - 11.6 მლნ აშშ დოლარი
რუსეთი - 11.3 მლნ აშშ დოლარი
სლოვენია - 10.5 მლნ აშშ დოლარი
ლიეტუვა (ლიტვა) - 7.5 მლნ აშშ დოლარი
იტალია - 7 მლნ აშშ დოლარი

შეგახსენებთ, თურქული ფარმაცევტული ბაზარი, საქართველოსთვის 2022 წლის იანვარში გაიხსნა. ჯანდაცვის სამინისტროს ცნობით კი, შედეგად, მედიკამენტების ფასები 70-80%-ით გაიაფდა. თურქული ფარმაცევტული ბაზრის გახსნის შედეგად, საქართველოს მოსახლეობა, წლიურად, დაახლოებით, 200 მილიონ ლარამდე ზოგავს.

ახალგაზრდულმა იდეამ წლიური ანგარიში წარადგინა

სამრეკლოს საჯარო სკოლაში დედოფლისწყაროს ახალგაზრდული იდეის წევრებმა 23 აგვისტოს განვლილი წელი შეაჯამეს. შეხვედრას ესწრებოდნენ: პროექტების ავტორები, დირექცია, მასწავლებლები და სოფელ სამრეკლოს წარმომადგენელი. ჩვენს მუნიციპალიტეტში დედოფლისყაროს ახალგაზრდული იდეა 2010 წლიდან მოქმედებს და ევროპის ფონდის დაფინანსებით სხვადასხვა აქტივობებს ყოველწლიურად ახორციელებს. ამ ხნის მანძილზე პროექტში არაერთი თაობა იყო ჩართული.

ბოლო ხანს განხორციელებულ პროექტებზე „ახალგაზრდული იდეას“ პიარ-მენეჯერი **ნინო მარტყოფლიშვილი** გვესაუბრა:

„ამჯერად ახალგაზრდული იდეის“ 2022-2023 სამუშაო წლის ციკლი დასრულდა. ვფიქრობ, ეს ერთი წელი დედოფლისწყაროსთვის ნამდვილად მომგებიანი იყო. კომიტეტის წევრებმა და პროექტის ავტორებმა მივაღწიეთ იმ მიზანს, რაც დასახული გვქონდა და თემის განვითარებაში წვლილი შევიტანეთ. მოგეხსენებათ ჩვენ დავაფინანსეთ სამი პროექტი, სამივეს მიზანი გარემოს დაცვა იყო. ამჯერად, სოფელ ზემო მაჩხაანში, სამრეკლოსა და დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლაში განთავსდა ნაგვის ურნები და დაიწყო ნაგვის გადამუშავება. კიდევ უფრო ხელი შეგვიწყო დედოფლისწყაროში პოლიეთილენის გადამამუშავებელი ქარხნის გახსნამ.

ახალგაზრდული იდეის შემაჯამებელი ღონისძიება ჩატარდა გუდაურში, სადაც წარვადგინეთ ჩვენი საქმიანობის ერთი წლის განმავლობაში განხორციელებული აქტივობების ანგარიში, შეხვედრას ესწრებოდა ევროპის ფონდის პრეზიდენტი ქეთევან ვაშაკიძე. გუდაურიდან დაბრუნების შემდეგ დედოფლისწყაროში ჩავატარეთ დასკვნითი შეხვედრა, სადაც მოწვეული გვყავდნენ სტუმრები და დონორები. როგორც პროექტის ავტორებმა აღინიშნეს: „ეს იყო დიდი გამოცდილება და პასუხისმგებლობა. სასიამოვნოა, რომ ახალგაზრდებს ეძლევათ შესაძლებლობა განივითაროონ როგორც თავიანთი უნარები, ისე საკუთარი სოფელი, თუ რაიონი. ამ ყველაფრისთვის დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ ახალგაზრდულ იდეას“. ამჯერად, დასკვნითი შეხვედრა კომიტეტის წევრებმა გავხსენით და ვისაუბრეთ ზოგადად განხორციელებულ აქტივობებზე, შემდეგ კი, პროექტის ავტორებს ვთხოვეთ საბოლოოდ ესაუბრათ მათი საქმიანობის შესახებ.

- კონკრეტულად რა პროექტები მოხვდა სოფლების მიხედვით წელს თქვენს ანგარიშში?

- პირველი პრეზენტაცია გახლდათ დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლის „შეიცვალე მიდგომა“. ავტორები: ნიკოლოზ რობიტაშვილი, საბა უზუნაშვილი, მარიამ კუპატაძე, ანანო ბიძინაშვილი, ანა ჩიტიშვილი. მათ პირველ რიგში ჩაატარეს საინფორმაციო შეხვედრები სკოლაში გარემოს დაცვასთან დაკავშირებით. შემდგომ დაიწყეს დასუფთავების აქციები სკოლის ეზოში სადაც ჩართული იყვნენ ხორნაბუჯის სკოლის მოსწავლეებიც. ჩატარდა ვიდეოფილმის ჩვენება - „გაინტერესებს როგორ მუშავდება ნარჩენები თბილისში?“

ასევე შეიძინეს ნაგვის ურნები (ალუმინის, პოლიეთილენის და ქაღალდის სეპარაციისთვის) რომლებსაც გამოიყენებენ როგორც პირველი სკოლის, ისე ხორნაბუჯის საჯარო სკოლის მოსწავლეები. მეორე პრეზენტაცია შეეხებოდა სოფელ სამრეკლოს „ნარჩენების მართვას“. მისი ავტორები არიან: ნატალი ბაცაცაშვილი, ანა ბოსტოღანაშვილი, მარიამ ჭუჭულაშვილი, ნიკოლოზ მაისურაძე. პირველ რიგში, ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა მოსწავლეებთან და სკოლის მახლობლად მცხოვრებ მოსახლეობასთან. შემდეგ თემის წარმომადგენლის დახმარებით დასუფთავდა სკოლის გვერდით მდებარე ნაგავსაყრელი, რომელიც ახალგაზრდების მთავარ პრობლემას წარმოადგენდა. დამზადდა პოსტერები, რომლებიც სკოლის შენობაში განთავსდა. ასევე, მოსახლეობას დაურიგდა ბუკლეტები. ჩატარდა დასუფთავების აქციები, დაიდგა ნაგვის ურნები და სკოლის შესასვლელთან დამონტაჟდა ბანერი წარწერით: „დაიცავით სისუფთავე! ნუ დაყრით ნაგავს!”

მესამე პრეზენტაცია კი, სოფელი ზემო მაჩხაანის პროექტი - „სუფთა გარემო ჩვენი ჯანმრთელობაა“ იყო. ავტორები: თამარ ბენაშვილი, ლუკა ბერუაშვილი, ნიკოლოზ იაკობიშვილი. პროექტის ფარგლებში ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები სკოლაში და სოფლის მოსახლეობასთან. ჩატარდა ფილმის ჩვენება. შეძენილი იქნა ექვსი ნაგვის ურნა ფრაქციული ჩასაყრელებით (ქაღალდის პლასტმასის და თუნუქის). სამი ნაგვის ურნა დაიდგა სკოლის ეზოში, სამი სოფლის ცენტრში.ნარჩენები მუშავდება პოპულარულ ქართულ კომპანია ტენე-ში რითაც ბავშვებს ერიცხებათ გარკვეული ქულები რითაც შეისყიდეს ელექტრონული რესურსები და გაამდიდრეს ელექტრონული ბიბლიოთეკა.

გარდა ამისა, ქულებს გამოიყენებენ სკოლის ინტერესებისთვის.

პროექტის ავტორებმა წინა დღით გააფრთხილეს მოსწავლეები და ჩაატარეს „ერთი დღე ნარჩენების გარეშე“. ბავშვებმა დიდი სიამოვნებით მიიღეს ეს გამოწვევა, მოიტანეს სახლში დამზადებული საკვები კონტეინერებით რომელიც არ შეიცავდა ნაგავს. იდეამ დაიწყო ახალი წევრების მიღება. მთავრი გეგმა ჩვენი საინტერესო პროექტების დაფინანსებაა დანარჩენს კი ახალ წევრებთან შეთანხმებით დავგეგმავთ. გვინდა, შეხვედრები ჩავატაროთ ქედების ზონაშიც, რაც წელს არ გაგვიკეთებია და გავააქტიუროთ ის სოფლებიც, რომლებიც რატომღაც ნაკლებად არიან ჩართულნი ასეთ პროექტებში. კომიტეტის სახელით მადლობას ვუხდით ყველა იმ ადამიანს ვინც მხარს გვიჭერდა და გვეხმარებოდა ამ დროის განმავლობაში.

ჩვენი საქმიანობა არ დასრულდება პირიქით მომავალ წელს ვეცდებით უფრო მეტი აქტივობა განვახორციელოთ, გავააქტიუროთ მეტი ახალგაზრდა და დავეხმაროთ თემს გათანამედროვებაში“.

შეხვედრაზე კმაყოფილებას გამოხატავდნენ მასწავლებლებიც: „ერთია გქონდეს იდეა და მეორე შეგეძლოს მისი განხორციელება, სკოლაში ბევრი აზრი იყო გარემოს დასუფთავების შესახებ და ჩვენ ვატარებდით დასუფთავების აქციებს. პროექტი კიდევ უფრო დაგვეხმარა შეგვაძენინა სააქციო ნივთები, ურნები და ბავშვებიც უფრო შემართებულები გახდნენ. მათი დახმარების გარეშე ამ შედეგს ვერ მივიღებდით“- აღნიშნეს პედაგოგებმა.

ახალი სასწავლო წლიდან ახალგაზრდების ჯგუფი ახალი წევრებითა და მეტი შემართებით დაიწყებს მუშაობას.

ილია მარტყოფლიშვილი

ზაფხულის სპორტულ-შემეცნებითი თამაშები არბოშიკში

გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობისთვის საქართველოში“ დაფინანსებით მიმდინარე პროექტის „ქალთა გაძლიერება ცვლილებისათვის“ და ფონდი „პური მსოფლიოსთვის“ პროგრამის ფარგლებში, ქალთა და ახალგაზრდობის ცენტრ „არბოშიკის“ ახალგაზრდულმა საინიციატივო ჯგუფმა 26-27 აგვისტოს სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში სახალისო და სპორტული შეჯიბრებები გამართა.

26 აგვისტოს 12-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის შემეცნებითი და სახალისო თამაშები გაიმართა. თამაშებში მონაწილეობას სამი გუნდი იღებდა. აქტივობები მოიცავდა ინტელექტუალურ თამაშს „რა, სად, როდის?“, სიტყვებისა და ნახატების ახსნას გუნდებისთვის, ენერჯაიზერებს ე.წ. განსატვირთ და ენერგიის აღმდგენ ვარჯიშებს და ა.შ.

27 აგვისტოს სპორტული შეჯიბრებები გაიმართა ფეხბურთში, მკლავჭიდსა და სამაგიდო თამაშებში, რომელშიც სხვადასხვა ასაკის გუნდებმა და ინდივიდუალურმა გამომსვლელებმა მიიღეს მონაწილეობა. გამარჯვებულ გუნდებსა და ინდივიდუალურ მოთამაშეებს საინიციატივო ჯგუფისგან სამახსოვრო დიპლომები, სიგელები და პრიზები გადაეცათ.

ორდღიანი აქტივობები ბავშვებისთვისა და ახალგაზრდებისთვის საკმაოდ სახალისო, შემეცნებითი და გასართობი აღმოჩნდა. გამოითქვა, ასეთი ღონისძიებების განმეორებით ჩატარების სურვილიც. შეგახსენებთ, რომ შეხვედრებზე დასწრება თავისუფალია.

როგორც ორგანიზატორები აცხადებენ, არბოშიკის ახალგაზრდული საინიციატივო ჯგუფი მომავალშიც გააგრძელებს საგანმანათლებლო-შემეცნებით-სპორტული ღონისძიებების ჩატარებას და მოსწავლე-ახალგაზრდების ინფორმირებულობას უკეთესი, ძლიერი და განათლებული თემისთვის.

ქედელეგის წარმატება ქართულ ჭიდაობაში

გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კალაურში ტრადიციული ტურნირი გაიმართა ქართულ ჭიდაობაში, სადაც დედოფლისწყაროელი სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ. 17 აგვისტოს ტურნირი კახეთის ქართული ჭიდაობის ფედერაციის ორგანიზებით მოეწყო და ადგილობრივის, გივი პაპოშვილის ხსოვნას მიეძღვნა. მასში კახეთის რვავე მუნიციპალიტეტის სპორტსმენები ასპარეზობდნენ. წარმატებული გამოდგა ქედების ზონის ახალგაზრდების მონაწილეობა, რომელთაც ღირსეულად იასპარეზეს. მწვრთნელის, კახა წიკლაურის განმარტებით, ამჯერად ქედების ზონიდან 13 სპორტსმენი მონაწილეობდა.

როგორც „შირაქმა“ გაარკვია, პირველ ადგილზე გავიდნენ ნიკა მუშტარაული, ლუკა ლაზვიაშვილი და გიგი ქეთელაური, ხოლო მეორე ადგილი დაიკავეს ლუკა ბურდულმა და ლუკა ძამაშვილმა. მათ ტურნირის ორგანიზატორებისგან სიგელები, მედლები და თასი გადაეცათ.

„გურჯაანში ოთხი ბრძოლა გავმართე. პირველ მეტოქესთან გაცილებით გამიჭირდა, მან ორ ქულაზე დამაგდო, მაგრამ საბოლოოდ ძირითად დროში მოვუგე 3-2. მეორე ბრძოლა ჩემს გუნდელთან მქონდა, მასაც დროზე ადრე მოვუგე, არც ნახევარფინალში გამჭირვებია მოწინააღმდეგის დამარცხება, მალე მოვუგე. ფინალშიც მეტოქის დამარცხება არ გამჭირვებია, საკმაოდ ადვილად მოვუგე. სულ რაღაც 30 წამში დავაფიქსირე სუფთა გდება და მსაჯების გადაწყვეტილებით გამარჯვება მოვიპოვე. ბედნიერი ვარ, რომ გულშემატკივარი გავახარე და პირველ ადგილზე გავედი. 6 წელია ვვარჯიშობ, სულ მინდოდა ჭიდაობაზე მევლო, რადგან მამაჩემი, პაპაჩემი და ჩვენი წინა თაობა სულ მოჭიდავეები იყვნენ და მინდოდა ტრადიცია გამეგრძელებინა,“ - ამბობს ლუკა ლაზვიაშვილი.

ტურნირის ორგანიზატორები ამბობენ, რომ ტრადიციული ქართული ჭიდაობის პოპულარიზაციის მიზნით ამგვარი ტურნირები რეგიონებში აქტიურად ტარდება.

„მოგეხსენებათ, ქართული ჭიდაობა განსხვავებულია და ის ჩვენი იდენტობის ნაწილია. ამიტომაცაა, რომ საქართველოში ცალკე მოქმედებს ძიუდოს ფედერაცია და ქართული ჭიდაობის ფედერაცია. გვინდა, ჩვენი ტრადიციული ჭიდაობა შევინარჩუნოთ და მომავალ თაობებს გადავცეთ. მისი კიდევ უფრო პოპულარიზაციისთვის ასეთი ტურნირები თითქმის ყველა რაიონში ხშირად ტარდება. ვცდილობთ, შეჯიბრებები რაიონულ ცენტრებსა და ასევე სოფლებში ჩატარდეს, რათა უფრო ფართო მასები მოვიცვათ და მასზე დასწრება ბევრად ხელმისაწვდომი გახდეს. ამიტომაცაა, რომ ჩვენს მიერ ორგანიზებული ჩემპიონატების უმრავლესობა სოფლებში ტარდება. ასეთი სანახაობა სოფლის ცხოვრებას ბევრად აცოცხლებს და საინტერესოს ხდის. ქართველი კაცი ასეთ შეჯიბრებებს ყოველთვის მართავდა და ეს ჩვენი იდენტობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. ქართული ჭიდაობის კახეთის ფედერაციაც ერთერთი ყველაზე აქტიური რეგიონალური ორგანიზაციაა, რომელიც რვავე რაიონში ეფექტურად მუშაობს. წლევანდელი ზაფხულიც გამორჩეულად აქტიური იყო კახეთის რეგიონისთვის. ახლაც, ხშირად ისეთ სოფლებში ვატარებთ, სადაც კულტურული და სპორტული წარმოდგენები იშვიათად იმართება ხოლმე. საზოგადოებაში ტრადიციული ქართული ჭიდაობის მიმართ ინტერესი რომ კვლავაც დიდია, ამას ისიც მოწმობს, რომ პატარა სოფლებშიც კი მაყურებელთა დიდი რაოდენობა იყრის თავს და ჩვენ ეს ძალიან გვახარებს,“ - აღნიშნავენ ფედერაციაში.

ილია მარტყოფლიშვილი

კახა კალაძემ საქართველოს პარანაკრებს ევროპის პარაჩემპიონატზე მოპოვებული წარმატება მიულოცა

თბილისის მერმა, კახა კალაძემ საქართველოს პარანაკრებს ევროპის პარაჩემპიონატზე მოპოვებული წარმატება მიულოცა. როგორც მან დედაქალაქის მთავროგის სხდომაზე განაცხადა, ევროპის პარაჩემპიონატზე, რომელიც რამდენიმე დღის წინ დასრულდა, საქართველოს პარანაკრებმა 16 მედლის მოპოვება შეძლო, აქედან ოთხი ოქროა, სამი – ვერცხლი, ხოლო ცხრა – ბრინჯაო.

კახა კალაძის განცხადებით, ერთ-ერთი გამარჯვებული, რომელმაც პარატაეკვანდოში ოქროს მედალი მოიპოვა, მერიის სისტემის თანამშრომელი, არბოშიკელი **გიორგი ხიზანიშვილია.**

თბილისის მერი კახა კალაძე არბოშიკელი პარა სპორტსმენის, გიორგი ხიზანიშვილის ახლახან მიღწეულ წარმატებას გამოეხმაურა. ამის შესახებ კალაძემ დედაქალაქის მერიის სხდომაზე ისაუბრა და აღინიშნა, რომ მისთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა, როცა მსოფლიო სპორტულ ასპარეზზე წარმატებას მათი თანამშრომლები აღწევენ.

„სულ ახლახან, ევროპის პარა ჩემპიონატი დასრულდა, სადაც საქართველოს პარა ნაკრებმა 16 მედლის მოპოვება შეძლო. აქედან 4 ოქროა, 3 ვერცხლი და 9 ბრინჯაო. ვულოცავ ყველა გამარჯვებულს და მათ შორის მერიის სისტემის თანამშრომელს, რაც ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა - გიორგი ხიზანიშვილს, რომელმაც ოქროს მედალი მოიპოვა პარა ტაეკვონდოში. გიორგი 2018 წლის აგვისტოდან თბილისის მუზეუმების გაერთიანებაში, კერძოდ ნიკოლოზ ბარათაშვილის მემორიალურ სახლ-მუზეუმში დარბაზის ზედამხედველის პოზიციაზე მუშაობს და არა მარტო სპორტული ცხოვრებით, არამედ, მრავალპროფილური განათლებითა და სამოქალაქო აქტივიზმითაც გამოირჩევა. ის ასევე ზრუნავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვაზე და ამ მიმართულებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე. რაც შეეხება პარა სპორტის მიღწევებს, პარალელურად გიორგი ხიზანიშვილმა ბოლო წლებში არაერთ წარმატებას მიაღწია და მინდა ასეთივე წარმატებით გაგრძელება ვუსურვო. ჩვენთვის რა თქმა უნდა სასიხარულოა, ჩვენი თანამშრომლის ასეთი შედეგები,“ - აღნიშნა კახა კალაძემ.

ევროპის პარაჩემპიონატი როტერდამში გაიმართა, სადაც საქართველოს პარა ნაკრებმა წარმატებით იასპარეზა. დედოფლისწყაროელი გიორგი ხიზანიშვილი და ანდრეი სლეცკოვი ევროპის პარა ჩემპიონატის გამარჯვებულები არიან.

გიორგი მიქაუტაძემ „აიაქსთან“ კონტრაქტი ოფიციალურად გააფორმა

გიორგი მიქაუტაძე კარიერას „აიაქსში“ გააგრძელებს - საქართველოს ნაკრებისა და „მეცის“ თავდამსხმელმა ამსტერდამში სამედიცინო შემოწმება გაიარა და ნიდერლანდულ გრანდთან კონტრაქტი გააფორმა. „აიაქსსა“ და „მეცს“ შორის მოლაპარაკებები სატრანსფერო ფანჯრის ბოლო დღეებში დაიწყო და წარმატებით დასრულდა. გიორგი მიქაუტაძეს ხუთი გუნდი იწვევდა, მაგრამ „ლიონს“, „რენს“, „შეფილდსა“ და „ლაციოს“ „აიაქსი“ ამჯობინა.

სხვადასხვა წყაროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, მათ შორის, ავტორიტეტული ფრანგული გამოცემის, L' Equipe-ის ცნობით, ეს ტრანსფერი „აიაქსს“ თითქმის 20 მილიონი ევრო დაუჯდება. ამგვარად, მიქაუტაძე იქნება „მეციდან“ წასული ყველაზე ძვირად ღირებული მოთამაშე.

„ლიონის“ საფეხბურთო აკადემიის აღზრდილი 2017 წელს „მეცში“ გადავიდა. 2020/21 წლების სეზონის დაწყებამდე იჯარით თამაშობდა ბელგიის პირველი დივიზიონის „სერენში“, სადაც ბომბარდირი გახდა და ლიგის სეზონის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა. ამავდროულად, მისმა კლუბმა ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავა და ჟუპილერ ლიგაში გადასასვლელ პლეი ოფში გავიდა, სადაც „ვაასლანდ ბევერენი“ დაამარცხა - ორრაუნდიან დაპირისპირებაში მიქაუტაძემ სამი გოლი გაიტანა და გუნდს დაწინაურებაში დაეხმარა.

გიორგი „მეცში“ 2022 წლის ზაფხულში დაბრუნდა და გუნდის ერთ-ერთი ლიდერი გახდა - 2022/2023 წლების სეზონში ექვსჯერ დაასახელეს ლიგა 2-ის კვირის სიმბოლურ გუნდში, გახდა ლიგის საუკეთესო ბომბარდირი, საუკეთესო თავდამსხმელი და სეზონის საუკეთესო მოთამაშე, ხოლო „მეცის“ საფრანგეთის ლიგა 1-ში დაბრუნებაში დიდი როლი ითამაშა.

საფრანგეთში დაბადებული თავდამსხმელი საქართველოს ნაკრებში პირველად 2021 წლის მარტში გამოიძახეს. მისი დებიუტი ეროვნულ გუნდში 25 მარტს, შვედეთის ნაკრებთან მატჩში შედგა. ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში პირველი გოლი 2021 წლის 2 ივნისს რუმინეთის ნაკრებთან ამხანაგურ მატჩში გაიტანა.

გიორგი მიქაუტაძე შოთა არველაძისა და გიორგი ქინქლაძის შემდეგ მესამე ქართველი მოთმაშეა, რომელიც „აიაქსში“ ითამაშებს.

დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაცია სასწავლო ტურით ესტონეთში

ესტონეთის ტურიზმის ორგანიზაციამ (ERTO) აგვისტოში მოაწყო სასწავლო ტური დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციის (DTDA) წევრებისთვის ესტონეთის ტურიზმის სექტორის სერვისებისა და ხარისხის სისტემის გაცნობის მიზნით.

ქართულმა ჯგუფმა ესტონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს (ESTDEV) მიერ დაფინანსებული პროექტის „სოფლის ტურისტული სერვისების განვითარება დედოფლისწყაროს რაიონში, საქართველო“ ფარგლებში ესტონეთის სხვადასხვა რეგიონის სოფლის ტურიზმის სხვადასხვა ობიექტი მოინახულა.

„ვესტუმრეთ დაცულ ტერიტორიებს კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურით და სახელმწიფოს კერძო ბიზნესთან თანამშრომლობის კარგი მაგალითებით. გავეცანით ესტონეთის ტყის და დაცული ტერიტორიების მართვის სისტემას. აქ არის ეკონომ-ტყეები, სადაც სამეურნეო საქმიანობის შედეგად მოჭრილ ხეებს ახალი ხეებით ანაცვლებენ. წარმოების პროცესში მიღებული ხის ქერქიც კი ტყეში ბრუნდება ბილიკებზე გასაშლელად. დაცულ ტყეებში - სახელმწიფო აწყობს სათანადო ინფრასტრუქტურას, სავალ ბილიკებს, დასასვენებელ ადგილებს, სათვალთვალო კოშკებს და სხვა, მზადდება საინფორმაციო მასალები, ასევე, პერიოდულად, ხდება ტერიტორიის დასუფთავება. აქ შესვლა ვიზიტორებისთვის უფასოა. მაგალითად, რანამეეტსატოლკუსეს ბუნების ძეგლს წელიწადში საშუალოდ, 60000 ვიზიტორი სტუმრობს. ბიზნესი დაცულ ტერიტორიებზე შესაბამისი პირობების დაცვით საქმიანობს. ამგვარი ადგილების დაცვაში აქტიურად არიან ჩართული ადგილობრივი მოხალისეები და აქტივისტები.



გავეცანით განთავსების და საკონფერენციო დარბაზებით მომსახურების სერვისებს. ვესტუმრეთ ვაშლის სიდრის, კენკრის ლიქიორების, ვაშლის წვენის, ვაშლის ძმრის, ძროხის ყველის, თხის ყველის, საპნის და სხვა საწარმოებს, საცხენოსნო მეურნეობას, სანტა კლაუსის სახლს, ჰორტიკულტურის, სამკურნალო მცენარეებისგან ჩაის მწარმოებელ ფერმებს, ყვავილების მეურნეობებს, მზის პანელებით აღჭურვილ საპარკინგე ადგილს, კუნძულ მანილაიდის ტურისტულ მეურნეობას, ვილიანდის ახლოს მდებარე ტყის სახლს, სადაც გემრიელი ადგილობრივი საკვები და დამაფიქრებელი ამბები შემოგვთავაზეს, ბაღის დიზაინის სერვისის ფერმას, ავინურმეს ხის საწარმოს, ვისწავლეთ ადგილობრივი ჭვავის პურის ცხობა, ვნახეთ ერთ ადგილობრივ თემში სკოლის ყოფილ შენობაში მოწყობილი ესტონური ეპოსის გმირის - კალევიპოეგის- თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი მუზეუმი, მასთან არსებული სათავგადასავლო პარკი, სათამაშო მოედანი, მარტივი კაფე და სოფლის სათემო ცენტრი; ვესტუმრეთ ტიურინგული თხების ბიომეურნეობას, სადაც თხის რძისგან ყველს, შესქელებულ რძეს და ბიოლოგიურად სუფთა მცენარეებისგან სამკურნალო კოსმეტიკას აწარმოებენ.

ვიყავით მწვანე გასაღების მფლობელ სასტუმროში „პესა“, რომელიც ევროპელ ვიზიტორებში დიდი პოპულარობით სარგებლობს; ტყეში, უჩვეულო გარემოში, პროფესიონალი ბიზნეს-კონსულტანტების მიერ მოწყობილ ტრენინგ-ცენტრში გავეცანით კუპლანდის ქსელის (სპეციალურად მოწყობილი ადგილი დისტანციურად მუშაობისთვის) მუშაობის პრინციპებს; გავეცანით სხვადასხვა ფესტივალის (კიტრის, ღია კაფეს დღეების, სოფლის მეურნეობის პროდუქტების და სათესლე მასალის გამოფენის და სხვა) მოწყობის ტრადიციებს, საინტერესო და უჩვეულო იყო ესტონური საუნის ისტორიის გაცნობა. ჭაობების გაცნობასთან ესტონეთის ისტორიის სხვადასხვა პერიოდის დაკავშირებაც ძალიან საინტერესო იყო. ვასკნას ტბის ნაპირზე მდებარე სასტუმროში მასპინძელი ქალბატონის მიერ დამზადებულ თოჯინებს შორის ქართულ სამოსში ჩაცმული წყვილიც დაგვხვდა. ეგზოტიკური და ადგილობრივი ცხოველების მინი ფერმაში სახალისო ცხოველებიც ვნახეთ: ლამები, ალპაკები, სირაქლემები, მინიატურული ცხვრები, მელიები და სხვა.

მასპინძლებმა აგვიხსნეს, რომ ესტონეთში აქვთ ღვინის გზაც, აწარმოებენ ღვინოს სხვადასხვა ხილის, კენკრისა და ყურძნისაგანაც და მიგვიწვიეს უუესაალუსეს მცირე საოჯახო მეღვინეობაში. აქ დავაგემოვნეთ სამოთხის ვაშლის, ქაცვის, მაყვლის, ჟოლოსა და ყურძნისაგან დამზადებული ღვინოები.

ზღვის დონიდან 318 მეტრზე მდებარე ესტონეთის უმაღლესი მწვერვალისსუურმუნა მაგის (დიდი კვერცხის) სეხნია კაფეში მოვისმინეთ საინტერესო კონცეფცია, როგორ შეიძლება ერთი კაფე გახდეს უნარჩენო წარმოების მაგალითი, სხვადასხვა ასაკის ადგილობრივებისთვის შეხვედრის ცენტრი და საკუთარი ნაწარმის რეალიზაციის ადგილი, ასევე კულტურული ცენტრი დიდი ქალაქებიდან ჩამოსულებისთვისაც.

ვნახეთ საკუთარი ტყის მფლობელების მიერ ტურისტებისთვის მოწყობილი განთავსების ადგილი და დავაგემოვნეთ ადგილობრივი ხორცითა და ბოსტნეულით დამზადებული გემრიელი ესტონური კერძი.

თითქმის ყველა ბიზნესის ნახვის შემდეგ მფლობელთა ისტორიებსაც ვისმენდით. რა თქმა უნდა, დაწყება გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული, მაგრამ ეხმარებოდათ სახელმწიფო, ევროპის კავშირი და დღეს უკვე პროდუქტების და სერვისების განვითარებაზე, დახვეწასა და გაუმჯობესებაზე მუშაობენ.

განზოგადების შემდეგ შეიძლება ჩამოვაყალიბოთ ნანახი ბიზნესების საერთო ნიშნები: ყველა მათგანზე ინფორმაცია იძებნება ინტერნეტში, ყველა მონიშნულია Google რუკაზე და ყველა ჩანს საიტზე https://www.visitestonia.com ყველგან არსებობს მცირე საინფორმაციო ნაბეჭდი ბროშურა ადგილობრივი ბიზნესების შესახებ თუ რუკა.

ყველა ცდილობს თავის ნიშაში საქმეს აკეთოს კარგად და საჭიროების დროს ითანამშრომლოს სხვებთან, მაგალითად, როცა სასემინარო ოთახების სერვისთან ერთად კვების მომსახურებაც სჭირდებათ, ახლოს მდებარე პარტნიორ ქეითერინგის კომპანიას ქირაობენ.

ყველა კომპანიაში არის მცირე ადგილობრივი სუვენირების შეძენის საშუალება, მათ შორის, გადახდა შეიძლება საბანკო ბარათითაც.

ბევრი იყო კარგი მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება საკუთარი პროფესია ან ჰობი ბიზნესად აქციო და ამისათვის მხოლოდ მონდომება, ადგილობრივი, „ხელთ არსებული“ საშუალებების გამოყენება და მცირე დანახარჯებია საჭირო.

სოფლის ტურიზმის ყველა ობიექტი ცდილობს, სეზონური, ადგილობრივი ბუნებრივი მასალების, ნედლეულის, საკვების, სამშენებლო მასალების გამოყენებას თავის საქმიანობაში: ყავარი-შენობების გადასახურად, მცენარეები საკვებად და დეკორაციებში, ე. წ. „სარეველა“ მცენარეებიც კი კულტურული მცენარეების გვერდით ამშვენებენ ბაღებს. რა თქმა უნდა, ესტონეთში, როგორც ევროკავშირის წევრ ქვეყანაში, ხელმისაწვდომია ევროპის ქვეყნებში დამზადებული სხვადასხვა პროდუქტი, მაგრამ ესტონელები უპირატესობას ადგილობრივ ნაწარმს ანიჭებენ, მათთვის ეს პრესტიჟის საქმეა.

ყველანი შთაბეჭდილებით და ბიზნესიდეებით აღვსილნი დავბრუნდით მშობლიურ რაიონში. ბევრი მნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანა შეიძლება ამ მოგზაურობიდან. კარგია, როცა რამეს კითხულობ ან ინტერნეტში ნახულობ, მაგრამ საკუთარი თვალით ნანახი მაინც სულ სხვაა. ყველა მონაწილეს თავისი სფეროს მსგავსი ან ახლოს მდგომი ბიზნესის ნახვა აინტერესებდა, ერთი და იგივე ობიექტი ყველამ თავისებურად დაინახა.

მანანა ყატაშვილი,
დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციის დირექტორი

გერმანიამ საქართველო და მოლდოვა უსაფრთხო ქვეყნებად აღიარა

გერმანიამ საქართველო და მოლდოვა უსაფრთხო ქვეყნების სიაში შეიტანა. 30 აგვისტოს ფედერალურმა მთავრობამ მხარი დაუჭირა შინაგან საქმეთა მინისტრ ნენსი ფეზერის მიერ წარდგენილ პროექტს, რაც ნიშნავს, რომ გერმანია გაცილებით სწრაფად შეძლებს დეპორტაციას საქართველოს და მოლდოვის იმ მოქალაქეების, რომლებიც გერმანიაში თავშესაფარს ვერ მიიღებენ.

სააგენტო Reuters-ის ინფორმაციით, გადაწყვეტილებას აკრიტიკებს უფლებადამცველთა ჯგუფი Pro Asyl. მისი განცხადებით, გერმანიის მთავრობა არ ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ რუსეთს ოკუპირებული აქვს საქართველოს და მოლდოვის რეგიონები. გარდა ამისა, ჯგუფის შეფასებით, საქართველოში პრობლემებია კანონის უზენაესობის და ლგბტ+ პირთა უფლებების დაცვის, ხოლო მოლდოვაში პრესის თავისუფლების მხრივ.

თავის მხრივ, გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრმა ნენსი ფეზერმა მედიაჯგუფ Funke-ს გამოცემებთან ინტერვიუში განაცხადა, რომ საქართველოს და მოლდოვას ევროკავშირის წევრობა სურთ და ამ ქვეყნებში, როგორც წესი, ადამიანებს არ ემუქრება პოლიტიკური ნიშნით დევნა. ფეზერის თქმით, გერმანიაში თავშესაფრის მაძიებელთა შორის თითქმის ყოველი მეათე საქართველოდან და მოლდოვიდანაა ჩასული, ამ ქვენების უსაფრთხოდ აღიარება კი, ხელს შეუწყობს არალეგალური მიგრაციის სწრაფად და ეფექტიანად შემცირებას.



ნენსი ფეზერის ინფორმაციით, გერმანია გეგმავს საქართველოსა და მოლდოვასთან გააფორმოს მიგრაციასთან დაკავშირებული შეთანხმებები, რაც გერმანიაში ჩასვლის მსურველებს მისცემს განათლების მიღების და მუშაობის შესაძლებლობას და უზრუნველყოფს საქართველოსა და მოლდოვაში იმ მოქალაქეების სწრაფად დაბრუნებას, რომლებსაც გერმანიაში დარჩენის უფლება არ აქვთ.

გერმანიის შსს-ს მონაცემებით, 2022 წელს თავშესაფარი ითხოვა საქართველოს 8 865-მა და მოლდოვის 5 218 მოქალაქემ. განაცხადების 99,9% არ დაკმაყოფილდა.

საქართველოსა და მოლდოვისთვის უსაფრთხო ქვეყნის სტატუსის მინიჭების შემდეგ გერმანია შეძლებს განაცხადების დამუშავების პროცესის დაჩქარებას და ქვეყნიდან გაცილებით სწრაფად გაძევებას იმ პირებისა, რომლებიც თავშესაფარს ვერ მიიღებენ.

ახმეტა-ბაწარას ნაკრძალთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ახმეტა - ბაწარას ნაკრძალის საავტომობილო გზის (დუისი-ჯიბახევის) 8 კმ-იანი მონაკვეთის რეაბილიტაციას ახორციელებს.

დუისი-ჯიბახევის მონაკვეთი მდებარეობს მდინარე ალაზნის მარცხენა მხარეს, დუისიდან ბაწარას ეროვნულ ნაკრძალამდე. სარეაბილიტაციო მონაკვეთი, ძირითადად, დასახლებულ პუნქტებზე გადის.

პროექტის შესაბამისად, გათვალისწინებულია გზის სავალი ნაწილის რეაბილიტაცია და ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობა.

ასევე, რეაბილიტაცია ჩაუტარდება ხელოვნურ ნაგებობებს, მოეწყობა საგზაო ნიშნები და განხორციელდება გზის ჰორიზონტალური მონიშვნა. ამ ეტაპზე, 2.3 კმ-იან მონაკვეთზე მოწყობილია ასფალტ-ბეტონის საფარის ორი ფენა.

პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი ღირებულება 5 მილიონ ლარზე მეტია.

პოლიციამ თბილისსა და რეგიონებში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ბოლო პერიოდში ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისსა და რეგიონებში ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით რვა პირი დააკავეს. ამის შესახებ ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

სამართალდამცველების მიერ ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ნივთმტკიცებად ამოღებულია უკანონო იარაღები და საბრძოლო მასალა.

დანაშაული 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს, დამნაშავეთა სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, 1973 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გ.ო. დააკავეს. პოლიციამ დაკავებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ნივთმტკიცებად რევოლვერი ამოიღო.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო მთავარი სამმართველოს და დეტექტივების მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, 1980 წელს დაბადებული, წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის ნასამართლევი ი.მ. დააკავეს. პოლიციამ ბრალდებულის პირადი და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკის შედეგად ნივთმტკიცებად ამოიღო პისტოლეტი, 2 მჭიდი და 16 ვაზნა.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, 1983 წელს დაბადებული გ.გ. დააკავეს. სამართალდამცველებმა გ.გ.- ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს ხელყუმბარა და ამფეთქი ფალია. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოსა და ამავე დეპარტამენტის დეტექტივების მთავარი სამმართველოს ძებნის სამმართველოს თანამშრომლებმა, წარსულში ნასამართლევი, ძებნილი პირი - 1996 წელს დაბადებული რ.შ. დააკავეს. სამართალდამცველებმა რ.შ. - ს დროებითი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდი და ვაზნები.

სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის მესტიის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, 1978 წელს დაბადებული მ.დ. დააკავეს. პოლიციამ ბრალდებულის პირადი ჩხრეკის შედეგად ნივთმტკიცებად ამოიღო ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდი და 4 ვაზნა.სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის ახალქალაქის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა 1967 წელს დაბადებული გ.კ. დააკავეს. პოლიციამ დაკავებულის საცხოვრებელი სახლის და დამხმარე სათავსოების ჩხრეკისას პისტოლეტი და 5 ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღო. იმერეთის რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ქუთაისის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა 1979 წელს დაბადებული გ.თ. დააკავეს. სამართალდამცველებმა ბრალდებულის პირადი ჩხრეკის შედეგად ცეცხლსასროლი პისტოლეტი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თელავის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, 1978 წელს დაბადებული ზ.ფ. დააკავეს. პოლიციამ ბრალდებულის ავტომობილის ჩხრეკის შედეგად ნივთმტკიცებად გადაჭრილი სანადირო თოფი ამოიღო.

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის, ასევე, ასაფეთქებელი მოწყობილობის უკანონო შეძენა-შენახვისა და ტარების ფაქტებზე გამოძიება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ რეგიონალური ორგანიზაციის წარმომადგენელმა დატოვა

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" რეგიონული ორგანიზაციის წარმომადგენელმა დატოვა.

პარტიის თელავის რაიონული ორგანიზაციისა და საკრებულოს წევრმა იმედა კევლიშვილმა, 20-წლიანი თანამშრომლობის შემდეგ, „ნაციონალური მოძრაობა" საკუთარი სურვილით დატოვა და გადაწყვეტილების შესახებ განცხადება სოციალურ ქსელში გაავრცელა.

იმედა კევლიშვილის განმარტებით, მისთვის „ნაციონალური მოძრაობის" წევრობა პრობლემური მას შემდეგ გახდა, რაც პარტიის თავმჯდომარედ ლევან ხაბეიშვილი აირჩიეს.

„ჩემი წასვლის მიზეზი „ნაციონალური მოძრაობის" ის უსაქციელობა გახდა, რასაც ისინი აკეთებენ. პირველ რიგში, ეს გახლავთ მათი მხრიდან ბოიკოტი იმ წევრების მიმართ, ვინც მელიას მისცა ხმა. ამ 7 თვის განმავლობაში ერთხელაც არ დაურეკავთ არცერთ ღონისძიებაზე ან ოფისში შეკრებაზე. როგორ დავიჯერო, რომ არაფერი ჰქონიათ და თუ არ ჰქონდათ, გამოდის არ მუშაობენ. შიდაპარტიული პლურალიზმი არ არსებობს, არის არაფორმალური მმართველობა, რითაც, მე ვფიქრობ, რომ „ნაციონალური მოძრაობა" ემსგავსება ქართულ ოცნებას", - განაცხადა იმედა კევლიშვილმა.

გავრცელებული ინფორმაციით, შესაძლოა, უახლოეს დღეებში პარტია ამავე მიზეზით, სხვა წევრებმაც დატოვონ.

„დღეის მდგომარეობით კახეთის რეგიონში გადამუშავებულია 2500 ტონა ყურძენი“

„დღეის მდგომარეობით კახეთის რეგიონში გადამუშავებულია 2500 ტონა ყურძენი", - ამის შესახებ ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ, ლევან მეხუზლამ განაცხადა.

როგორც ლევან მეხუზლამ აღნიშნა, რთველი არის სამეურნეო პროცესი, რომელიც, ზოგიერთი პოლიტიკოსის განცხადების მიუხედავად, წელსაც წარმატებული იქნება და არც ერთი კილოგრამი ყურძენი არ დარჩება მევენახეებს ჩაუბარებელი.

„მოსავლის დაბინავება ამ ეტაპზე ძირითადად დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს, მომავალი კვირიდან რთველის პროცესი უფრო აქტიურ ფაზაში გადავა. ვხედავთ, როგორი გაზრდილია მოსავლიანობა ბოლო 10 წლის განმავლობაში, რაც ექსპორტის ზრდამ და დარგის განვითარებამ განაპირობა. რთველი არის სამეურნეო პროცესი, რომელიც, ზოგიერთი პოლიტიკოსის განცხადების მიუხედავად, წელსაც წარმატებული იქნება და არც ერთი კილოგრამი ყურძენი არ დარჩება მევენახეებს ჩაუბარებელი", - განაცხადა ლევან მეხუზლამ.

ღვინის ეროვნული სააგენტოს ცნობით, მანვე აღნიშნა, რომ სახელმწიფო საწარმო მზად არის მევენახეებისგან მიიღოს კლიმატური პირობების გამო დაზიანებული ყურძენი, რომელზეც კერძო სექტორის მხრიდან არ იქნება მოთხოვნა და ფერმერებს 1 კილოგრამში 90 თეთრი გადაუხადოს.

„ამ ეტაპზე რთველის საკოორდინაციო შტაბში უკვე დარეგისტრირებულია 110 ღვინოს საწარმო, რომლებიც მოსახლეობისგან ყურძენს შეისყიდის.

აღსანიშნავია, რომ მთავრობის გადაწყვეტილებით, მიმდინარე წელს, რთველი 2023-ის ფარგლებში, სახელმწიფო რქაწითელისა და კახური მწვანის ჯიშების ყურძნის სუბსიდირებას განახორციელებს. აღნიშნული გადაწყვეტილება, 25 ათასამდე მევენახე ფერმერს და 500-მდე ღვინის მწარმოებელს საქმიანობის გაგრძელების მოტივაციას და განვითარების შესაძლებლობას მისცემს", - აღნიშნულია ინფორმაციაში.

„ევროკავშირის გაფართოება აღარ არის ოცნება“

ევროპული საბჭოს პრეზიდენტის შარლ მიშელის განცხადებით, ევროკავშირი 2030 წლისთვის გაფართოებისთვის მზად უნდა იყოს. **„ევროკავშირის გაფართოება აღარ არის ოცნება"** ,- განაცხადა მან სლოვენიის ქალაქ ბლედში გამართულ საერთაშორისო სტრატეგიულ ფორუმზე.

„გასულ წლის ივნისში ჩვენ მივანიჭეთ კანდიდატის სტატუსი (ევროკავშირში გაწევრიანების მიზნით) უკრაინასა და მოლდოვას. იგივე სტატუსი ელის საქართველოს, როცა საჭირო ნაბიჯებს გადადგამს. ასე რომ, ახლა გაფართოება აღარ არის ოცნება. დროა წინ წავიწიოთ", - აღნიშნა მიშელმა.

მისივე განცხადებით, გაფართოების პროცესი „რთული და ზოგჯერ მტკივნეული" იქნება როგორც მომავალი წევრი ქვეყნებისთვის, ასევე ევროკავშირისთვის.

„ჩვენ ამისთვის მზად უნდა ვიყოთ. ეს ნიშნავს იმას, რომ შემდეგი გრძელვადიანი ბიუჯეტი საერთო მიზნებს უნდა შეიცავდეს. ეს ამბიციურია, მაგრამ საჭიროა. ეს ჩვენ სერიოზულ განწყობას აჩვენებს", - განაცხადა ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა.

მისივე თქმით, ეს კანდიდატი ქვეყნებისთვის იმპულსი გახდება - იმპულსი რეფორმების ჩატარებისთვის, გამოიწვევს მათ ინტერესს, ინვესტიციებს და უკეთეს ურთიერთგაგებას.

„შესაძლებლობების ფანჯარა ღიაა. ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ ამის შესაბამისად. ამიტომ, გაფართოების საკითხი ევროპული საბჭოს უკვე მომდევნო სხდომებზე განიხილება. ჩვენ დავიკავებთ მკაფიო პოზიციას უკრაინასთან და მოლდოვასთან მოლაპარაკებების დასაწყებად. მე ასევე ველი, რომ მოლაპარაკებების მაგიდასთან ბოსნია – ჰერცეგოვინა და საქართველოც იქნებიან“, - განაცხადა მიშელმა.

როგორ მოქმედებს ინტერნეტი ჩვენს პროდუქტიულობაზე

ბოლოდროინდელმა კვლევებმა აჩვენა, რომ ინტერნეტის ხანგრძლივმა გამოყენებამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ზოგიერთ კოგნიტურ ფუნქციაზე, განსაკუთრებით ყურადღებასა და მოკლევადიან მეხსიერებაზე.

იმის გამო, რომ ინტერნეტის გამოყენება ხშირად გულისხმობს ჩვენს უნარს, შევასრულოთ რამდენიმე დავალება სხვადასხვა პარამეტრებს შორის, ამან, ფაქტობრივად, შეიძლება ხელი შეუშალოს ჩვენს უნარს შევინარჩუნოთ ან ვფოკუსირდეთ კონკრეტულ შემეცნებით ამოცანაზე დიდი ხნის განმავლობაში.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენი ყოველდღიური აქტივობების შესრულების უნარი მოიცავს მრავალი დავალების შესრულებისა და სხვადასხვა ამოცანებს შორის ყურადღების კომბინაციას. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი დავალების შესრულება შეიძლება კარგი პრაქტიკა იყოს ფოკუსის გადასატანად, მან ასევე შეიძლება შეასუსტოს ჩვენი უნარი შევინარჩუნოთ ფოკუსირება ერთ სფეროზე დიდი ხნის განმავლობაში. შემეცნებაზე უარყოფითი გავლენის გარდა, ინტერნეტის ჭარბი გამოყენება ასოცირდება დეპრესიისა და შფოთვის უფრო მაღალ რისკთან და მან შეიძლება თავი გვაგრძნობინოს იზოლირებულად და/ან გადატვირთულად.

როგორ შევამციროთ ეს უარყოფითი ზემოქმედება ჩვენს ტვინზე?

არ არსებობს კლინიკური გაიდლაინები (სახელმძღვანელო პრინციპები), რადგან ეს კვლევის ახალი სფეროა, თუმცა რეკომენდაციები ნამდვილად არსებობს:

*შეზღუდეთ ინტერნეტში გატარებული დრო. სამუშაო და არასამუშაო საათებში დაგეგმეთ ინტერნეტით სარგებლობის კონკრეტული დრო (თუ თქვენი სამუშაო პირდაპირ არ გულისხმობს ინტერნეტის გამოყენებას ან არ გაქვთ მნიშვნელოვანი ვადა).

*გამოყავით დღის გარკვეული დრო, როდესაც შეამოწმებთ თქვენს ელფოსტას. სამსახურის შემდეგ დაგეგმეთ როდის გამოიყენებთ ინტერნეტს სახლში, რათა მეტი დრო გაატაროთ ოჯახთან და მეგობრებთან ერთად. ჩვევის მიუხედავად, შეეცადეთ ისწავლოთ მისი შემოწმება მხოლოდ დღის დაგეგმილ დროს, რათა შეძლოთ ფოკუსირება სხვა საკითხებზე.

*დარწმუნდით, რომ ინტერნეტის გამოყენება არ ართმევს დროს თქვენს ოჯახს. შესაძლოა, დრო, რომელსაც ატარებთ ვებსაიტებზე, სოციალურ მედიასა და ელფოსტაზე, უკეთესად დახარჯოთ სხვა ჯანსაღ საქმიანობაში, როგორიცაა ფიზიკური აქტივობა, სოციალიზაცია ან წიგნის კითხვა. ეს ის აქტივობებია, რომელიც მნიშვნელოვანია თქვენი ტვინის ჯანმრთელობისთვის.

როგორ ავიცილოთ თავიდან ელ.ფოსტის გადატვირთვა?

როდესაც ფიქრობთ, თუ როგორ დაიწყოთ „ციფრული დეტოქსიკაცია“, არ დაივიწყოთ „ელ.ფოსტის გადატვირთვა“. მიუხედავად იმისა, რომ ელფოსტა არის აუცილებელი სამუშაო ინსტრუმენტი, არსებობს გარკვეული რამ, რისი გაკეთებაც შეგვიძლია ამ პრობლემის მოსაგვარებლად:

*აღიარეთ ის ფაქტი, რომ ყველა ელფოსტას დაუყოვნებლივ არ უნდა უპასუხოთ. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი საკითხი გადაუდებელია, სხვები შეიძლება ნაკლებად აქტუალური იყოს. სცადეთ თქვენი შემოსულების „გაფილტვრა“ ისე, რომ მნიშვნელოვან და გადაუდებელ შეტყობინებებს დაუყოვნებლივ უპასუხოთ, ხოლო სხვებს მოგვიანებით გასცეთ პასუხი, მათი შინაარსიდან გამომდინარე.

*გამორთეთ არასაჭირო შეტყობინებები. შეიძლება ძალიან შემაწუხებელი იყოს გაფრთხილება ყოველ ჯერზე, როცა ელ.წერილი შემოდის თქვენს ყუთში.

*გააუქმეთ ნებისმიერი არასაჭირო საინფორმაციო გამოწერა, რომელიც აღარ გჭირდებათ. ეს დაგეხმარებათ შეამციროთ „არეულობა“ თქვენს სოციალურ ქსელში და საშუალებას მოგცემთ ყურადღება გაამახვილოთ სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

*მოერიდეთ ძირითადი საკითხების ან თემების განხილვას ელექტრონული ფოსტით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს აბსოლუტურად აუცილებელია. ზოგიერთ საკითხს უკეთესად აგვარებენ პირისპირ შეხვედრებში.

ვინ არის ყველაზე მეტად რისკის ქვეშ და რატომ?

„ინტერნეტდამოკიდებულება“ არის მდგომარეობა, რომელიც გავლენას ახდენს ადამიანების განათლების, დასაქმების და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის დონეზე. შეიძლება იფიქროთ, რომ ეს უფრო ხშირია უმუშევარ ახალგაზრდებში, მაგრამ მეცნიერები ვარაუდობენ, რომ მაღალგანათლებული და დასაქმებული ახალგაზრდები და საშუალო ასაკის მოზარდები დაზარალებულთა ძირითად ნაწილს.

რატომ არის გადაჭარბებული ციფრული სამყარო პოტენციურად საშიში?

ზედმეტმა ციფრულმა სამყარომ შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს ჩვენს სოციალურ ცხოვრებაზე და ჩვენს კოგნიტურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. მას შეუძლია ჩვენი ოჯახისგან და მეგობრებისგან იზოლირება, ზრდის დროის დაკარგვის რისკს. გაზრდილი ინფორმირებულობით, ჩვენ უკეთესად შევძლებთ მის ამოცნობას და მკურნალობას ადრეულ ეტაპებზე.

ინტერნეტი ორპირიანი ხმალია. გონივრულად გამოყენების შემთხვევაში, მას შეუძლია გაზარდოს ჩვენი პროდუქტიულობა და დაგვაკავშიროს უამრავ ადამიანთან. თუმცა, ჭარბი რაოდენობით, მას შეუძლია დაგვაზიანოს და ნაკლებად ეფექტური იყოს ჩვენივე განვითარებისთვის.

მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

ოჯახების რამდენ პროცენტს აქვს ინტერნეტით უზრუნველყოფა

შინამეურნეობებში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების 2023 წლის გამოკვლევის შედეგების მიხედვით, ინტერნეტით უზრუნველყოფილია საქართველოს შინამეურნეობების 89%, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 0.6 პროცენტული პუნქტით აღემატება. ინტერნეტით უზრუნველყოფილი შინამეურნეობების წილი 0.3 პროცენტული პუნქტით გაიზარდა საქალაქო დასახლებაში, ხოლო 1.0 პროცენტული პუნქტით სოფლად და შესაბამისად, 93.1 და 83.4% შეადგინა. რეგიონების მიხედვით ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აჭარის ა.რ.-სა და თბილისში დაფიქსირდა და შესაბამისად, 96.2 და 94.2% შეადგინა.

კვლევას სტატისტიკის ეროვნული სამსახური აქვეყნებს. კვლევის შედეგების მიხედვით, ბოლო 3 თვის განმავლობაში ინტერნეტით ისარგებლა 6 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის 82.7%-მა, რაც 2.8 პროცენტული პუნქტით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. საქალაქო დასახლებებში აღნიშნული მაჩვენებელი 87.7%-ით, ხოლო სასოფლო დასახლებებში 74.7%-ით განისაზღვრა. ეს მაჩვენებელი ქალების შემთხვევაში 83%-ს, ხოლო კაცების შემთხვევაში 82.3%-ს შეადგენს. ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, ამ მაჩვენებლის მნიშვნელობა ყველაზე მაღალია 15-29 წლის მოსახლეობაში და 98.1%-ს შეადგენს.

15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობიდან, რომლებიც ბოლო 3 თვის განმავლობაში სარგებლობდნენ ინტერნეტით, 93% ინტერნეტს ყოველდღე ან თითქმის ყოველდღე მოიხმარდა, 6.4%-კვირაში ერთხელ მაინც (თუმცა არა ყოველდღე), 0.6% კი - უფრო იშვიათად.

რაც შეეხება მიზნებს - კვლევის შედეგების მიხედვით, 15 წლის და უფროსი ასაკის, ბოლო სამ თვეში ინტერნეტის მომხმარებელ მოსახლეობაში, ინტერნეტის გამოყენების ძირითად მიზნებს წარმოადგენს სოციალური ქსელების გამოყენება (95.6%), ინტერნეტ (აუდიო/ვიდეო) კავშირი (94.3%), ჯანმრთელობის საკითხებზე ინფორმაციის მოძიება (50.5%), ონლაინ ახალი ამბების/ გაზეთების/ჟურნალების წაკითხვა (49.1%), ინტერნეტ ბანკინგით სარგებლობა (47.1%), საქონლისა და მომსახურების შესახებ ინფორმაციის მოძიება (45.2%), ელ. ფოსტის მიღება/გაგზავნა (41.6%), პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტის (გარდა თამაშებისა) ჩამოტვირთვა (16.1%) და სამუშაოს ძიება ან სამუშაოსთვის აპლიკაციების გაგზავნა (13.3%).

კვლევის შედეგების მიხედვით, კომპიუტერით უზრუნველყოფილია შინამეურნეობების 57.7%. აღნიშნული მაჩვენებლის მნიშვნელობამ საქალაქო დასახლებებში 66.3% შეადგინა, ხოლო სასოფლო დასახლებებში – 46%. რეგიონების მიხედვით ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალი აჭარის ა.რ.-სა და თბილისში დაფიქსირდა და შესაბამისად – 68.9 და 67.4% შეადგინა.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი დეტალურ ანალიზს აქვეყნებს

2023 წლის ეროვნული გამოცდების შედეგად სტუდენტი 34 843 აბიტურიენტი გახდა. ინფორმაციას განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ავრცელებს.

ერთიან ეროვნულ გამოცდებზე სულ 45 000 აბიტურიენტი იყო რეგისტრირებული.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, 2023 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ყველაზე მეტი აბიტურიენტი მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების - ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის გამოცდებზე ჩაიჭრა. გარდა ამისა, წელს, ყველაზე მეტმა გამოსაცდელმა ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდის შედეგი გაასაჩივრა, ყველაზე ნაკლებმა კი, ფრანგული ენის გამოცდის შედეგი - 2023 წელს 128 440 ნაშრომიდან გასაჩივრდა 4 292, რაც აბიტურიენტების ნაშრომების საერთო რაოდენობის მხოლოდ 3,34%-ია.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა 2023 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების სტატისტიკური ანალიზიც გამოაქვეყნა. მათი ინფორმაციით, ქართულ ენასა და ლიტერატურაში მაქსიმალური 60 ქულის მიღება ჯამში 74-მა აბიტურიენტმა მოახერხა. კონკურსში მონაწილეობას აგრძელებს აბიტურიენტთა 96.56 %. მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ვერ გადალახა აბიტურიენტთა 3.44 %-მა.

ინგლისურ ენაში ჯამში მაქსიმალური 70 ქულის მიღება 648 აბიტურიენტმა შეძლო, მინიმალური ზღვარი კი 3.57%-მა ვერ გადალახა.

მათემატიკაში მაქსიმალური 51 ქულა ჯამში 43-მა აბიტურიენტმა მიიღო. კონკურსში მონაწილეობას აგრძელებს აბიტურიენტთა 84.25 %. მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ვერ გადალახა აბიტურიენტთა 15.75 %-მა.

ისტორიაში მაქსიმალური 60 ქულა მხოლოდ 8 აბიტურიენტმა მიიღო. კონკურსში მონაწილეობას აგრძელებს აბიტურიენტთა 94.47 %. მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ვერ გადალახა აბიტურიენტთა 5.53 %-მა.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მონაცემების მიხედვით, ბიოლოგიაში წელს მაქსიმალური 70 ქულა არავის მიუღია. ყველაზე მაღალი შეფასება 69 ქულა იყო და 2-მა აბიტურიენტმა შეძლო მიღება. კონკურსში მონაწილეობას აგრძელებს აბიტურიენტთა 85.29 %. მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ვერ გადალახა აბიტურიენტთა 14.71 %-მა.

ქიმიაში კი მაქსიმალური 63 ქულის მიღება 8 აბიტურიენტმა შეძლო. კონკურსში მონაწილეობას აგრძელებს აბიტურიენტთა 80.47 %. მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ვერ გადალახა აბიტურიენტთა 19.53 %-მა.

შეგახსენებთ, რომ წელს ყველაზე მეტმა, 22 200-მდე აბიტურიენტმა არჩევით საგანთა შორის ისტორიას მიანიჭა უპირატესობა. 15 700-ზე მეტმა აბიტურიენტმა მათემატიკას, 3 600-ზე მეტმა აბიტურიენტმა ბიოლოგიას, 2 600-ზე მეტმა აბიტურიენტმა კი ქიმიას.

ერთიან ეროვნულ გამოცდებისთვის წელს 45 000-ზე მეტმა აბიტურიენტმა გაიარა რეგისტრაცია.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის, სოფიო გორგოძის თქმით, 30 აგვისტოს 18 საათამდე აბიტურიენტებს კიდევ შეეძლებათ საგანმანათლებლო პროგრამების რეიტინგულ სიაში ცვლილებების შეტანა.

მარო ცბიერი

სოფელში ხმა გავარდა, მარო რაიონში ერთ-ერთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დანიშნესო. სოფელში ყველა - მეზობლები თუ ნაცნობ-მეგობრები, მხრებს იჩეჩავდა - სკოლაში გამორჩეული მოსწავლე არასოდეს ყოფილა და როგორ მოახერხაო?! სხვები, ასაკით უფროსები, „მარიფათს“ უქებდნენ, ამბობდნენ, „კოჭებშივე ეტყობოდა, რა ქალიც დადგებოდაო“.

მარო საბჭოთა ბავშვი იყო, სოფელში, კოლმეურნის ოჯახში დაბადებული და გაზრდილი. მის მშობლებს 5 შვილი ჰყავდათ. მარო უფროსი იყო. ოჯახში პატარა დედმამიშვილების მოვლას ავალებდნენ. მაროს თამაში უნდოდა. ერთხელ, პატარა ძმის აკვანთან დასვეს, არ მოშორდე და ყურადღება მიაქციეო - დაუბარეს, თვითონ კი სათიბში წავიდნენ. მიიხედ-მოიხედა მარომ, ხელი აჰკრა აკვანს და ატირებულ ძმას თავზე გადაევლო. აბა, რა უნდა ექნა, ამხანაგები სათამაშოდ უხმობდნენ...

მშობლები ხშირად სჯიდნენ სიჯიუტის და დაუმორჩილებლობის გამო. მერე ეშმაკობა იხმარა და ათასნაირ ხრიკს მიმართავდა, რომ დასჯა აერიდებინა. მთავარი იარაღი ტყუილი იყო, ანდა თავისი დანაშაულის სხვაზე გადაბრალება. ექვსი წლის იყო მარო, როცა კაკლის მურაბის ბოლო, ერთადერთი ქილა გადმოუვარდა და გაუტყდა. მურაბა დაიღვარა. მარო ცახცახმა აიტანა, იცოდა, ამისთვის მკაცრად დაისჯებოდა. რა უნდა ექნა? ადგა და დანაშაული თავის პატარა, 3 წლის დას გადააბრალა. დაიჯერეს. ამის შემდეგ ამ ხერხს ხშირად მიმართავდა, უმართლებდა კიდეც. ეს საქციელი ჩვევად ექცა. ნელ-ნელა ტყუილების დიდოსტატად ჩამოყალიბდა. მიხვდა, რომ ცბიერებით გაცილებით იოლი იყო ფონს გასვლა და პასუხისმგებლობისთვის თავის არიდება, ვიდრე სიმართლის გზით სიარული. სტუდენტის ბილეთის მისაღებად ბევრი იწვალა. სკოლის დამთავრებიდან პირველ წელს ჩაიჭრა, უცხო ენაში ორიანი მიიღო. მაგრამ ეს არ თქვა. მოიგონა, რომ ქულა დააკლდა. მიზნისკენ მისასვლელი გზა რომ გაეიოლებინა, გადაწყვიტა, ლიმიტი მოეპოვებინა. ამისთვის მუშაობა იყო საჭირო. ფერმაში საკმაოდ მძიმე პირობები იყო ახალგაზრდა გოგონებისთვის. გადაწყვიტა, სხვა გზა მოენახა, ბევრად უფრო იოლი. მოსწავლეობისას გუნდში მღეროდა, განსაკუთრებული მუსიკალური მონაცემებით არ გამოირჩეოდა, მაგრამ სმენა ჰქონდა. სოფლის ბაგა-ბაღში მივიდა, საკუთარი თავი და მუსიკალური შესაძლებლობები ისე წარმოაჩინა, გამგემ ირწმუნა, რომ ის საუკეთესო პედაგოგი იქნებოდა ბავშვებისათვის. ასე დაიწყო მაროს პედაგოგიური კარიერა ბაღში და გზა სტუდენტობისაკენ. ერთწლიანი სტაჟისა და მეცადინეობის წყალობით მარო სტუდენტი გახდა. ინსტიტუტში მაროს ბიძა ლექტორი იყო. მარო რისი მარო იქნებოდა, ეს რომ არ გამოეყენებინა. ინსტიტუტში რექტორის მოადგილეს ბიძის წყალობით დაუახლოვდა და ორ წელიწადში მარო თანასოფლელებს „უკვალავდა გზას“ - ბევრი მოაწყო და „ნერვიულობას და წვალებას გადაარჩინა“. ნაცნობი ლექტორებიც „ახეირა“. სახელი გაუვარდა, „მარო ხალხს აწყობსო“! ბევრი მადლიერი ჰყავდა, ხუმრობა ხომ არ იყო, სტუდენტობაზე მეოცნებეებსა და მათ მშობლებს მიზნისკენ სავალი გზა გაუიოლა, მერე რა, თუ ამაში გვარიან თანხებს იხდიდნენ. ეს ხომ ნებაყოფლობითი გარიგების შედეგი იყო. მარო ინსტიტუტს ამთავრებდა, როცა ეს საქმე „გასკდა“, კორუფციის სქემაში ჩართული ლექტორები გაათავისუფლეს. მაროს ბევრი არ უნერვიულია, მას „თავი ქუდში ჰქონდა“- სახელმწიფო გამოცდებიც ჩაბარებული ჰქონდა და დიპლომი და სარგებელიც-აღებული.

პედაგოგის დიპლომით ხელში მარო მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა. მასწავლებლად მუშაობა სოფლის სკოლაში არცთუ მიმზიდველად გამოიყურებოდა მისი ამბიციების მქონე ადამიანისთვის. სტუდენტობისას მიღებული გამოცდილება გამოიყენა, სანაცნობო წრე „აამუშავა“ და რაიონის რაიკომში დაიწყო მუშაობა. ცხოვრების ჩვეულ სტილს არც აქ უღალატა. დაიწყო „კარის თამაშები“, სადაც დიდი მონდომებით არჩევდა შესაფერის კადრებს, „მსხვერპლს“, „რეჟისორი“ კი თავად იყო. მოსწონდა თავისი როლი და სამუშაო. როცა „მაროს თამაშები“ ბევრისთვის სახიფათო აღმოჩნდა, მისი მოშორება გადაწყვიტეს. მარომ შანტაჟს მიმართა. მაშინ ერთი პატარა სამსახურის უფროსობა და ხელშეუხებლობა შესთავაზეს. მარო დათანხმდა. ეს სწორედ ის იყო, რაზეც ოცნებობდა. მეტი დამოუკიდებლობა და ნული პასუხისმგებლობა!

მაროს უფროსის სკამი გაუტკბა. თანამშრომლებს თავის ნებაზე დაატარებდა, თუ რამე შემოაკლდებოდა, რომელიმე მათგანს დაიბარებდა და საყვედურებით აავსებდა, სამუშაოს შესრულების ხარისხს დაუწუნებდა, გათავისუფლებით დაემუქრებოდა. შეშინებული თანამშრომელი ყველაფრისთვის მზად იყო, ნებისმიერ თანხას გადაიხდიდა. მაროს ბარტერული გაცვლაც აწყობდაფულის ნაცვლად ღირებული საჩუქრის მიღება. კადრების გადახალისებას დიდი სიამოვნებით ახორციელებდა-ხოლმე იმ მოტივით, რომ „ახალი ცოცხი კარგად გვისო“. უყვარდა ეს ანდაზა. კადრების ხშირი როტაციისა თუ გადახალისების წყალობით აიშენა დიდი სახლი, გამოიწერა ავეჯი. ხშირად ამბობდნენ, „ავრორამ მისთვის გაისროლაო“...



აი, ახლაც, ძველი, მაგრამ პატიოსანი და პროფესიონალი კადრი დაითხოვა სამსახურიდან. საწყალ ქალს ქმარი ორი წლის წინ გარდაეცვალა, ორი შვილი დარჩა. ობლებს ხელფასით არჩენდა. რამდენი ეხვეწა, შენც ხომ ქალი ხარ, არ გამათავისუფლოო, მაგრამ „მაროს ცრემლების როდი სჯეროდა“. მარო ძლიერი და პრაგმატული ქალი იყო, ამიტომ, როცა მომავალმა თანამშრომელმა დასაქმების სანაცვლოდ ბრილიანტებითა და ზურმუხტის თვლებით მოოჭვილი ბეჭედი, ე. წ. „ბაღჩა“ მიართვა, ბევრი აღარ უფიქრია და ყველაზე დაუცველი და „უპატრონო“ თანამშრომელი ზვარაკად შესწირა. აი, ეს ბეჭედი ახლა არათითზე უკეთია და ბროლის ჭაღის ნათებაზე ულამაზეს ფერებად იშლება ძვირფასი თვლების დედოფალი, ტკბება მარო მისი სილამაზით.

-მარო, ადექი, შენთან მნახველია- საკანში რკინის კარი ხმაურით გაიღო და ბადრაგი შემოვიდა.

-ჩამძინებია, არადა რა კარგ სიზმარს ვნახულობდი-ნაღვლიანი ხმით ძლივს გასაგონად წაიჩურჩულა მარომ და საკნიდან გალასლასდა.

ინგა შიოლაშვილი

რამაზ ჩიკვილაძის საიუბილეო საღამო

17 აგვისტოს ბორჯომის ცენტრალური პარკის კინოთეატრის დარბაზში გაიმართა საოპერო მომღერლის, რამაზ ჩიკვილაძის დაბადებიდან 50 წლის და მსოფლიო საოპერო სცენებზე მოღვაწეობის 25 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო, რომელსაც თეატრმცოდნე ნიკოლოზ წულუკიძე უძღვებოდა.

დამსწრე საზოგადოებას საღამოს წამყვანმა გააცნო რამაზ ჩიკვილაძის ბიოგრაფია. იგი დაიბადა ბორჯომში, დაამთავრა ბორჯომის საშუალო სკოლა და თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტში ჩააბარა. როგორ გახდა მომღერალი? „ერთ ყინვიან დღეს ტროლეიბუსს ველოდებოდი. ტროლეიბუსმა დაიგვიანა. ოპერის შენობასთან ვიდექი, თვალი შევავლე აფიშას, ოპერა „დაისის“ სპექტაკლი იყო. ვიფიქრე, შევალ და გავთბები-მეთქი. სპექტაკლის დასრულების შემდეგ ისე მოვიხიბლე ამ წარმოდგენით, რომ პარალელურად სწავლა გავაგრძელე კონსერვატორიის ვოკალურ განყოფილებაზე. მოვხვდი ნოდარ ანდღულაძის კლასში“ - ასე იხსენებს იუბილარი მომღერლის კარიერის დაწყებას.

ნიკოლოზ წულუკიძემ აღნიშნა, რომ რამაზმა სწავლის პერიოდში როგორც სოლისტმა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში დაიწყო მოღვაწეობა 1993-1998 წლებში. შემდეგ უკვე მიუნხენის, ბონის, დორტმუნდის, ჰამბურგის თეატრებში. პარალელურად იწვევენ ფლორენციის, კატანიის, ნიცის, მონტე-კარლოს და სხვა ცნობილ საოპერო თეატრებში. შესრულებული აქვს წამყვანი პარტიები ბელინის, მოცარტის, ვაგნერის, როსინის, ვერდის, პუჩინის და სხვა კომპოზიტორების ოპერებში.

რამაზ ჩიკვილაძის საიუბილეო საღამოზე მონაწილეობდნენ ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და თეატრის სიმფონიური ორკესტრი (დირიჟორი: ლევან ჯაგაევი) და ოპერის ცნობილი სოლისტები. საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი, ბრწყინვალე ბარიტონი მამუკა ლომიძე, რომელმაც ჟორჟ ბიზეს ოპერიდან „კარმენი“ იმღერა ტორეადორის კუპლეტები, ხანგრძლივი აპლოდისმენტები დიდხანს ისმოდა დარბაზში.

ბონის საოპერო სოლისტი გიორგი ონიანი, რომელმაც ოთარ თაქთაქიშვილის ოპერიდან „მინდია“, მინდიას არია შეასრულა და ოპერის ულამაზეს სოლისტთან მარიკა მაჩიტიძესთან ერთად, იმღერა ვერდის ოპერიდან „ტრავიატა“. კონცერტში ასევე მონაწილეობდნენ: ბორჯომის ვოკალური ანსამბლის „ბორჯომი“ სოლისტები.

საიუბილეო საღამო დასრულდა ცნობილი სიმღერით „ღვინოვ კახურო“ ზაქარია ფალიაშვილის ოპერიდან „დაისი“. რამაზთან ერთად მღეროდა ღონისძიებაში მონაწილე ყველა სოლისტი.

ბორჯომის მერმა, ოთარ არბოლიშვილმა, მიულოცა საიუბილეო თარიღები რამაზ ჩიკვილაძეს და მადლობა გადაუხადა მას იმისთვის, რომ სასიამოვნო საღამო აჩუქა როგორც თანამემამულეებს, ასევე ბორჯომში დასასვენებლად ჩამოსულ დამსვენებლებს.

დალი ქურდაძე, ბორჯომის ღვაწლმოსილი პედაგოგი: „ბორჯომი ყოველთვის იყო და არის ხელოვნების, პოეზიის და მეგობრობის მსოფლიო მნიშვნელობის კურორტი. კომპოზიტორთა დასასვენებელი სახლი ერთ-ერთი მუსიკალური კერა იყო. რამაზის მამა თენგიზი წლების განმავლობაში ბორჯომის მუსიკალურ სკოლაში მუშაობდა. შემდეგ კი კომპოზიტორთა სახლში, სადაც ცნობილი კომპოზიტორები ჩამოდიოდნენ. რამაზი ბავშვობიდანვე იზრდებოდა მუსიკალურ გარემოში, ასე რომ არავის გვიკვირს მისი წარმატება. ის იმ თაობის გზას აგრძელებს, როგორებიც იყვნენ ოპერის ცნობილი მომღერლები, ცნობილი ბორჯომელები - თენგიზ ზეინკლიშვილი და ნუგზარ გელაშვილი“.

გაზეთ „შირაქის“ რედაქცია ულოცავს ცნობილ ქართველ საოპერო მომღერალს რამაზ ჩიკვილაძეს საიუბილეო თარიღებს და კვლავ წარმატებულ კარიერას უსურვებს.

ნანა ჭიჭინაძე

ულოცავენ!

ივერი ჭუჭულაშვილს!

ბატონო ივერ!

ჩვენთვის უძვირფასეს ადამიანს, უაღრესად კეთილშობილური თვისებებით აღსავსეს, პროფესიაში გამორჩეულს, გილოცავთ დაბადების დღეს 1 სექტემბერს. გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, სიყვარულით აღსავსე თქვენი ოჯახის წევრებთან ერთად.

პატივისცემით,
სოფლის მეურნეობის სამმართველოს ყოფილი თანამშრომლები:
თამაზ ჯანიკაშვილი, ზურაბ თეთვაძე, ნანა ჭიჭინაძე, ნანა აფციაური, მერაბ ფიროსმანაშვილი, მაყვალა ჯორკოშვილი, თამრიკო პაპაჩაშვილი, მაყვალა მამულაშვილი, აკაკი სამუკაშვილი, ავთანდილ ჯანაშვილი, ჯემალ კვანჭილაშვილი.

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 04.09	სამშაბათი 05.09	ოთხშაბათი 06.09	ხუთშაბათი 07.09	პარასკევი 08.09	შაბათი 09.09	კვირა 10.09
დღე	27°	30°	30°	29°	26°	23°	21°
ღამე	16°	18°	18°	17°	15°	14°	14°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი **ინგა შიოლაშვილი**
რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
☎ 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი